ერი

პარასკევი თებერვლის 18 1921 წ.

ფასი 30 მან.

წელიწადი პირველი

რედაქცია და ადმინისტრაცია

ქუთაისი, თბილისის ქუჩა [illegible] ნომერი. რედაქცია ღია ყოველ დილის 9 საათიდან ნაშუადღევის $2^1/_2$ საათამდის, კანტორა ღია ყოველ დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდის. მისამართი წერილებისა და კორესპონდენციებისათვის! ქუთაისი, ფოსტის ყუთი № 30.

დეპეშებისათვის—ქუთაისი ერი. ტელეფონი № 32 წერილები დაწერილი უნდა იყოს ერთ გვერდზე და სუფთად. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. რედაქციისათვის საჭიროდ წერილის ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ წერილების შესახებ რედაქცია მიწერ მოწერას არ კისრულობს.

№ 2 საქართველოს დემოკრატიული პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის ორგანო. № 2

განცხადებანი:

განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 25 მან. მე-4-ე გვერდზე 20 მან. სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი 1000 მან. 12 საათის შემდეგ 1200 მან.

ხელის მოწერა:

გაზეთი „ე რ ი“ ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში 700 მან. ცალკე № 30 მ.

1921 წ. თებერვლის 17-დან ქუთაისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

═ ე რ ი ═

მამულიშვილნო!

საშშობლო განსაცდელშია.

ალმოსავლეთის ველური ურდოები კვლავ მოადგენ საქართველოს.

მთავრობის და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას მოწოდება.

ერობებს, თემებს და გვარდიის შტაბებს.

მოხდა უსაზიზღრესი მუხანათური თავდასხმა: გაბოროტებულ სომხეთს მიემხრო აზერბეიჯანი და იქ მდგომ ბოლშევიკურმა ჯარებმა შემოგვიტია ალმოსავლეთით; იცოდეთ რომ მათი გამარჯვება ნიშნავს ერის თავისუფლების, სალხის ნაშრომის და ნაამაგარის საშუალოთ დაღუპვას და ჩვენი ბოლშევიკთა მშიერი ბრბოების უსაშინელეს ტირანიაში ჩავარდნას.

დასდგა ჟამი ჩვენი ეროვნა არ ეოფნისა, ჩვენი ბედი ჩვენ ხელთ არის: გამოვიჩინოთ ძველებური ქართველური მამაცობა: თავის დადება, ერთობა და მტერი ძლეული იქნება. საქართველოს არა ერთხელ განუცდია უცხო ლაშკართა შემოსევა, მაგრამ ისეთ უკან გაურეკიათ. აიღეთ ხმალი ხელში და აამუშავეთ ქალი და კაცი: შექენით ახალი რაზმები, დაიცავით შიგნით სასტიკი წესიერება, ალაგმეთ მოღალატენი და ორგულნი. იცოდეთ, რომ გამარჯვებული ბოლშევიკები გაგცარცვენ და გაგძარცვეს. მათ გასტეხს მხოლოდ თქვენი მხნეობა და თავის დადება. შეაჩერეთ ჩვეულებრივი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მუშაობა და მოკიდეთ ხელი მარტო თავის დაცვას. მეტი მეომარი, მეტი იარაღი, მეტი სურსათი. აი რას ითხოვს თქვენგან საშშობლო და ეს მოგვაწოდეთ ყოველ დღე—გამარჯვებამდე. ამ ბრძოლაში ჩვენ მარტო არ დავრჩებით, შეგქმნათ ერთი მთლიანი თავგანწირული ძალა და ჩვენ ირგვლივ მეომიკრიბებიან მშველელნი.

ქართველო სალსო, ხელი ხმალს იკარ, მტერთა იხმიან ხმანია,
საქართველო მოკვდება, მაგრამ მტერს არ დანებდება.

მთავრობის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

ნოე ჟორდანია.

მდგომარეობა სერიოზულია.

საქართველო კვლავ ომის ცეცხლშია გახვეული: კვლავ სისხლსა და მსხვერპლს თხოულობს ჩვენი მრავალტანჯული საშშობლო.

საქართველოს მიწა-წყალს, არა ერთხელ სისხლით აფერადებულს და გმირთა ძვლებით მოკენჭილს, კვლავ მოადგა ბოლშევიკური ბრბოები: ჩვენს საზღვრებზე ირგვლივ სისხლი იღვრება, ჩვენს დედა-ქალაქს თბილისს მტრები ემუქრებიან.

ჩვენი სახელოვანი ჯარი და გვარდია ქართველურად რაინდული პატრიოტიზმით, საშშობლოს კეთილშობილი სიყვარულით აღგზნებულნი, მტრებს ებრძვიან.

საჭიროა ჩვენი თანამშრომლობა, საჭიროა შველა, საჭიროა მთლიანი ეროვნული ძლიერება.

საქართველოში დღეს ყველა სახელმწიფოებრივი პარტიები და ჯგუფები გაერთიანებულია და ყველას ასულდგმულებს თავდაცვის აზრი, საშშობლოს სიყვარული.

პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც შესძლეს საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცება საერთაშორისოდ, პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც ბოლო მოუღეს ჩვენს საუკუნოებრივ მონობას, დღესაც ბრძნულად გაუძღვებიან ქართველ ერს და მის სამხედრო ძლიერებას.

მხოლოდ საჭიროა შიგნით წესიერება და სულიერი სიმტკიცე, საშიში არაფერია, თუ კი შიგნით გვექნება წესიერება.

დღევანდელი ბოლშევიკური ურდოების შემოტევა არის ჩვეულებრივი და მორიგი აშლილობა ალმოსავლეთის, რომელსაც იცნობს ჩვენი ერი.

ჩვენი მებრძოლი რაინდები ღირსეულად დახვდებიან მტრებს, პასუხს გასცემენ ველურების შემოტევას. ჩვენი დიპლომატია იმედია გამოიჩენს მიხვედრილობას და ისარგებლებს იმ მდგომარეობით, რომელიც იქმნება ჩვენდა სასარგებლოთ ოსმალეთის დიდი ეროვნულ მთავრობისა და რუსეთის წითელი იმპერატორის ზრახვათა შორის. საუკუნეთა ჭირსა და ვარამში ამოგანგლეული საქართველო გადაურჩება განსაცდელს, თუ კი გამოვიჩენთ ჩვენს ისტორიულ გმირობას, თუ კი დავიცავთ შიგნით სასტიკ წესიერებას

ყველა პოლიტიკური პარტიები ჩვენში, რომელნიც გრძნობენ საქართველოსადმი სიყვარულს, დღეს გრთად არიან და მოღალატეები სასტიკათ დაისჯებიან.

ღალატს ქართველი ერი ვერავის აპატიებს.

ა. კაპანაძე.

მამულიშვილნო.

ჩვენმა ბედნიერებამ მტერი აამხედრა; შურმა და ღვარძლმა ააგსო მტრის გული და სულხორციანთ მოშხამული თავს გვესხმის.

ვინ არის ჩვენი მტერი და რა ღირსების არის!

ჩვენი მტერია ბოლშევიკური რუსეთი და მასთან ამხედრებული გაბოლშევიკებული სომეხ—თათარი. ბოლშევიკებს ეროვნული სახეც დაკარგული აქვს და პოლიტიკურიც. თავის ქვეყანა ამოაგდეს, გააოხრეს,

მოქალაქენო! დაიცავით წესიერება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაანადგურეს და ახლა აქეთ მოდიან, [illegible] ჩვენც მოგვსპონ და ჩვენი ნა. შრომი ხელში ჩაიგდონ.

ჩვენ მშვენიერ ქვეყანას, დიდის უბედურებით თავშენახულს დღეს განთავისუფლებულს გვილუპავენ — გვილუპავენ ისინი, ვისაც არც სამშობლო უყვარს, არც სამართალი, არც წესიერება.

დადგა მწვავე წუთი, სამშობლო განსაცდელშია, ჭირისუფლობა დღეს გვინდა. გვმართებს დიდი მხნეობა და სულიერი ძალა.

საქართველო მუდამ ომობდა და მუდამ სისხლს ღვრიდა. საქართველო მუდამ თავს იცავდა, სხვას არაფერს ართმევდა, მაგრამ თავისას არავის არ ატანდა. საქართველო მუდამ სამართლიან გზას ადგა და კიდეც იმარჯვებდა.

დღესაც მართალნი ვართ. ამას მნიშვნელობა აქვს. ყოველი პატიოსანი და სამართლიანი ერი ჩვენ გვითანაგრძნობს ჩვენ გაგვამაგრებს.

ბოროტება ყოველთვის სუსტია. აიღოთ ხელში იარაღი, შევებრძოლოთ მტერს და არ მივსცეთ მას ნება თავზე დაგვაჯდეს.

სიკვდილ სიცოცხლის წუთია! ერთი გრძნობით და ერთი აზრით გამსჭვალული მთელი ქართველი ერი მტერს დავეტაკოთ. მას შევაკვდებით, მაგრამ არ დავნებდებით. სიმართლეც ჩვენა გვაქვს და ძალაც ჩვენ ხელშია, თუ მოვინდომებთ.

დღეს არის უკანასკნელი ხიფათი, თუ ამ საფრთხეს გადავრჩით სამშობლო გამოხსნილია და დაცული.

დღეს გვმართებს ყოველი ძალის მოკრება და სისხლის დაღვრა. დღეს დაღვრილი სისხლის წვეთი წმიდათა წმიდაა დღევანდელი შეწირული მსხვერპლი სიწმინდის ცვარია. ყველა ავმოძრავდეთ, სულით, ხორცით, მკლავით, ტვინით, ქონებით, გონებით სამშობლოს ვემსახუროთ.

მთელი ერი ერთსულოვნათ ერთ ძალაში მოვთავსდეთ.

გმირული გამოსვლა, თავგანწირულება და მხნეობა—აი რა გმართებს, მოქალაქე!

ა. ჯაფარიძე.

უკანასკნელი ცნობები.

17 თებერვალი, ნაშუადღევი 2 საათი. ერობა[illegible] მჯდომარე კ. სულაქველიძე ელ[illegible]ა პირდაპირი მავთულით შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელმაც გადმოსცა შემდეგი: მდგომარეობა საგრძნობლათ შეიცვალა ჩვენს სასარგებლოთ. ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. თბილისში სრული სიმშვიდეა. ხალხი ჩვენს ხელშია და სრულ თანაგრძნობას გვიცხადებს როგორც მატერიალური დახმარებით, ისე ცოცხალი ძალით. მისიები ყველა თავიანთ ადგილებზეა.

—

საბჭოთა რუსეთის მისია დატყვევებული მოყავთ ქუთაისში.

—

მიტინგი ცირკში.

გუშინ შუადღისას, ცირკში გაიმართა მიტინგი. ხალხი რაც დეტია შენობაში შეუშვეს; რაც არ დეტია, მით დააწყნარეს, რომ შეპირდენ ბაღში ცალკე მიტინგის გამართვას. მიტინგი გახსნა ა. მეფისაშვილმა. ილაპარაკეს კ. ჭუმბურიძემ. გ. ლალიძემ ვ. სხირტლაძემ. დ. ტრ. ჯაფარიძემ. აღფრთოვანება დიდია, მთავრობას გაეგზავნა თანაგრძნობის და აღფრთოვანების დეპეშა. უცებ მოგროვდა 3 მილიონ მანეთამდე.

—

დღეიდან თავდაცვის ფონდის შეწირულება მიიღება ქალაქის თვითმართველობაში.

ახალი ამბები.

სამაზრო ერობამ გამოაცხადა მობილიზაცია 1894 წ. 1895 წ. 1896 წ. 1897 წელს დაბადებულ ჯარის კაცებისა და აგრეთვე 1884 წ. დაბადებულ ექიმებისა. ყველა დაწესებულებაში მუშაობა შეჩერებულია. მთელი ყურადღება მიქცეული აქვს ფრონტს. სამაზ. ერობა ყოველ ძალღონეს ხმაროს მობილიზაციის წესიერად ჩატარებისთვის.

შემოწირულება — ნ. კილასონიამ და მ. კაპანაძემ საქართველოს დემოკრატიულ პარტიის დროშისათვის შემოსწირა ორ არშინ ნახევარი შავი კაშმირი ღირებული 2325 მანეთად, რისთვისაც კომიტეტი მადლობას სწირავს.

დეპეშები.

საქართველოს დეპეშათა სააგენტო.

შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილისაგან ქალაქისა და ერობის თვითმართველობებს აბხაზეთის კომისარიატს შემდეგი ცირკულიარული დეპეში გაეგზავნათ:

„საბჭოთა ჯარი ომის გამოუცხადებლად ვერაგულად დაქურდულათ დაგვესხა. მტერი მოტყულდა. საქართველოს ერი გამონახავს საშუალებებს რესპუბლიკის დასაცველათ. დავერაგი მტრის მოსაგერებლად აცნობეთ ხალხს შექმნილ მდგომარეობა, დაე, ყველა მოქალაქე, ვისაც შეუძლია იარაღის ტარება, ჩაეწეროს მოხალისეებათ ჯარსა და გვარდიაში და მზად იყოს მთავრობის მოთხოვნილებისთანავე გაემგზავროს ომის ველზე სამშობლოს დასაცველად. მთავრობა ღრმად დარწმუნებულიაროს ხალხის აღფრთოვანება იხსნის რესპუბლიკას ბნელ ძალთა მიერ გაანადგურებისაგან. შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი.

გენერალური შტაბის ცნობა. დღეს ღამით რესპუბლიკის წინაალმდეგ გამოვიდა საბჭოთა აზერბეიჯანი. ყაზახის მხარეში, აღნიშნეს საბჭოთა ჯარების შემოტევა ფოილოს მიმართულებით და წითელ ხიდის პირდაპირ. ფოილოს მიმართულებით ჩვენების მიერ უკუგდებულია მტკვარზე გასვლა ყველა ცდა მტრისა. ჩვენ ავაფეთქეთ ფოილოს ხიდი. ჩვენ ჯარებს ებრძანა მდინარე ხრამისაკენ დახევა. სულიერი მდგომარეობა ჯარისა საესებით ვაჟკაცური. დახევა ხდება მთელი წესრიგით.

—

პირდაპირი მავთული თფილისთან.

გუშინ დილით დასალამოთი ჩვენი თანამშრომელი დემოკრატიული პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელი ელაპარაკა თბილისში დამფუძნებელ კოებისა და მთავარ კომიტეტის წევრს იოსებ მაჭაკიანს. გადმოგვცა შემდეგი: მდგომარეობა სერიოზულია. შეაჩერეთ პარტიული ყოველგვარი მუშაობა, ყველა ორგანიზაციები აამუშავეთ თავდაცვის საქმის დასახმარებლათ, თავს დაგვესხენ აზერბეიჯან სომხეთი, მათ ხელმძღვანელობას უწევს საბჭოთა რუსეთი. შეადგინეთ მოხალისეთა რაზმები და დაუყოვნებლივ გადმოგზავნეთ ჩვენთან. დაგზავნეთ პროვინციებში წარმომადგენლები, რათა წამოიყვანონ მოხალისეები. თბილისში უკვე შედგა ჩვენ მოხალისეთა რაზმები. მთავარსარდლათ დაინიშნა გენერალი კვინიტაძე. იმედები დიდია. აქ ხალხი აღფრთოვანებული შეხვდა ომს.

გამარჯვება უზრუნველყოფილია, თუ ყველა ავმუშავდებით. ყველაფერი თავდაცვისათვის.

—

თბილისის 16 თებერვალი. ქვანახშირის დამზადების გადიდებისათვის და ორგანიზაციულად მუშაობის მოსაწყობად ტყიბულში მიემგზავრება განსაკუთრებული კომისია ინჟინრებისა.

—

15 თებერვალი. წითელი ჯვრის მთავარ გამგეობის პრეზიდიუმის სხდომაზე მოწვეული იყვენ სანიტარულ საავადმყოფოთა დაწესებულებების ოფროსი ფრონტიდან ჩამოყვანილ დაჭრილთა და ავათმყოფთა გაწესრიგების საკითხის გამოსარკვევათ.

—

პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის დადგებილება საქართ. ვერაგულად თავდასხმის გამო თავის სხდომაზე დადგინა პროტესტით მიმართოს ამ დაცემის გამო პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ბიუროს, საბჭოთა რესპუბლიკების ყველა პროფესიონალურ კავშირებს და მიიღოს მხურვალე აქტიური მონაწილეობა ქვეყნის დაცვაში. ამასთან ერთად გადაწყდა მოწვეულ იქნეს კვირას შეერთებული სხდომა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებისა, პროფესიონალურ კავშირების გამგეობებისა, და ცენტრალურ გაერთიანებულ მუშათა ორგანიზაციებისა შექმნილ მდგომარეობაზე მსჯელობისათვის და მთავრობისადმი თავდაცვის საქმეში დახმარების აღმოსაჩენად.

კონსტანტინოპოლი. სერბიელთა და შავმთიელთა შორის სისხლის მღვრელი შეტაკებებია.

შაქრიანაში განსაკუთრებული ძალით იზრდება გლეხთა მოძრაობა. განსაკუთრებითია ეს პროცესი ოდესის, ხერსონის, ეკატერინოსლავის და კიევის მიდამოებში. ბოლშევიკები ძლივს ჩერდებიან მხოლოდ დიდ ქალაქებში, რომელთა შორის რკინის გზის მოძრაობა შეწყვეტილია.

—

ამერიკაში აღმოსავლეთ კორელიაში მოხდა აჯანყება ფინელ კომუნისტებისა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, მოსკოვიდან პეტროგრადში კომუნისტების გაგზავნის გამო დაჭერილია 40 ფინელი კომუნისტი. მეთაურები დახვრეტილია.

—

პარიზი. პარიზის პოლიციამ აღმოაჩინა მთელი რიგი ბოლშევიკურ ორგანიზაციების მიწერ მოწერის საბუთები. პლანია ახლო აღმოსავლეთში ევროპის საწინააღმდეგო ბოლშევიკურ მოქმედებათა. გადაწყდა გააძევონ საფრანგეთიდან ყველა ამ საქმეში მონაწილეობის მიმღებნი.

—

თბილისი. მთავრობის თავმჯდომარის მოწოდება. ქალაქებს, ერობებს, თემებს, სახალხო გვარდიის საოლქო შტაბებს, განსაკუთრებულ რწმუნებულს აფხაზეთის კომისარიატისას, საქართველოს ყველა მოქალაქეთ!

მოხდა შემზარავი ვერაგული თავდასხმა გაბოროტებულ სომხეთისა. მიემხრო აზერბეიჯანი და იქ მდგარ ბოლშევიკურ ნაწილებმა დაიწყეს შემოტევა აღმოსავლეთისაკენ.

იცოდეთ, მათი გამარჯვება ნიშნავს ხალხის თავისუფლების, შრომის ნაყოფის, არსებობის საბოლოო დაღუპვას, ნიშნავს მშიერ ბოლშევიკურ ბანდების საშინელ ტირანიის უღელს; დადგა დრო სიკვდილ სიცოცხლის საკითხის გადაწყვეტისა. ჩვენი ბედნიერება ჩვენს ხელშია. გამოვიჩინოთ ძველებური ქართველური გმირული თავგამეტება, მოლიანობა და მტერი დამარცხდება.

საქართველოს არა ერთხელ გამოუცდია მტრის ძალების შემოჭრა. და ის მუდამ მიდენილა მათ უკან. აიღეთ ხელში ხმალი. დეე ყველამ იმუშაონ, შექმენით ახალი და ახალი რაზმები. დაიცავით სასტიკი წესიერება და მშვიდობიანობა სახელმწიფოს შიგნით. ალაგმეთ მოღალატენი, გამცემნი. იცოდეთ, რომ ბოლშევიკებმა თუ მოახერხეს, გაგძარცვავენ, მოგსპობენ ფიზიკურათ. მათ მოსტეხს მხოლოდ თქვენი ენერგია, თავის თავის მსხვერპლათ მიტანა. შეაჩერეთ ჩვეულებრივი სახელმწიფო მუშაობა. მთელი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული მხოლოდ თავდაცვისაკენ. მეტი მეომარი, მეტი იარაღი, მეტი სურსათი. აი რას ითხოვს თქვენგან დღეს სამშობლო. თქვენ ყოველდღე უნდა მოგვაწოდოთ ეს ჩვენ ამ ბრძოლიდან გამარჯვებით გამოსვლისათვის. ჩვენ მარტონი არ ვიქნებით. ჩვენ შევქმნით ერთ გაერთიანებულ თავდავიწყებულ ძალას. ჩვენს გარშემო შემოიკრიბებიან ყველანი. ქართველო ხალხო ბიშვილე ხმალი, ისმის მტერთა ხმა, მაგრამ მტერს არაოდეს არ დამორჩილდეთ. თავმჯდომარე მთავრობისა და თავდაცვის საბჭოსი **ნ. ჟორდანია.**

გუშინვე შედგა ჩვენი კომიტეტის სხდომა და შეუდგა თადარიგს. საქართველოს დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტი უკვე შეუდგა მოხალისეთა რაზმების შედგენას. მოწვეულნი არიან გამოცდილი სამხედრო პირები. მოხალისეთა ჩაწერა სწარმოებს სამაზრო კომიტეტის ბინაზე (თბილისის ქ. სახლი ს. ფიჩხაძისა).

—

გუშინ შედგა ქუთაისის თავდაცვის კომიტეტის სხდომა. დაესწრენ ყველა მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელნი.

გუშინვე ღამით გვარდიის შტაბში შედგა განსაკუთრებული კომისია მომხდარ ამბების გამო, რომელმაც გამოიმუშავა მობილიზაციისა და მოხალისეთა რაზმების შედგენის წესრიგი.

საქართველოს დემოკრატიული პარტია ატყობინებს დასავლეთ საქართველოს ორგანიზაციებს, რათა შეადგინონ მოხალისეთა რაზმები და გამოგზავნონ ქუთაისში სამაზრო კომიტეტთან.

—

მაჰმადიშვილნო!

სამშობლო განსაცდელშია. მოგიწოდებთ ჩაეწეროთ საქართველოს დემოკრატიულ პარტიის მოხალისეთა რაზმში. ჩაწერა სწარმოებს მუდამ დღითაც და ღამით სამაზრო კომიტეტის ბიუროში მორიგ წევრთან.

—

საქართველოს დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტი თხოვს თანამოაზრე სახელმწიფო პირთ გამოცხადდენ პარტიის ბიუროში.

—

დღეს პირველ საათზე შექმნილ მდგომარეობის გამო ცირკში გაიმართება მიტინგი. ილაპარაკენ მომენტზე ყველა პარტიის წარმომადგენელნი.

ომი.

ომი, გაისმის ძახილი. მამაც ქართველ ერს უცებ მოესმა საყვირის ხმა, იწვევენ ომში? სად? ვის წინააღმდეგ? ვერაგი სომხები ამხედრებულან, მოიწევენ საქართველოზე, ვინ ბედავს ომს. შესწევს ამისი ძალა?! სომხებთან ერთად ბოდის რუს-ბოლშევიკები. რუსის ხალხი, შურს იძიებს ჩვენზე. საქართველოში ბატონად ნამყოფი დღეს მშიერ ტიტველი თავის სამშობლოში, სწუხს, რომ გამოეცალათ ხელიდან ხაქართველო, ეს უმშვენიერესი ყვავილი მთელი ქვეყნისა და ისევ სწადიათ ჩაიგდოს ხელში, შეიქნენ ბატონები, და გაგვხადონ თავის მონად; ბატონობას ჩვეულები დღეს გაბოროტებული ცდილობს დაიბრუნოს ძველი ადგილი. მას ხმა გასცა სომხებმა, ორივე სწუხს, შემოაკლდათ ბევრი რამ; რუსებს ძოესპოთ ბატონობა. ბრძანება საქართველოში. სომხებს კი საქართველოს ქონების ჭამა. ორივე დაზარალებულად თვლის თავის თავს; შეამხანაგდენ, შემოგვიტიეს. სომხების განზრახვაა მოისპოს საქართველოს დამოუკიდებლობა, გააერთიანონ კავკასია ბოლშევიზმის სახელით და შემდეგ იფარფაშონ-შეგვჭამონ, გაგვანადგურონ ეკონომიურად. ქართლ-კახეთში ბლომად ცხოვრობდენ სომხები. დაკარგული სომხეთი აქ უნდოდათ აღედგინათ. მართლაც სომხის კულტურულ ძალებმა აქ მოიყარეს თავი. თბილის-ბორჩალოს თავისად თვლიდენ. ერევნის ოლქი, ეს მწირე ადგილი, სომხებისთვის ბევრს არას წარმოადგენს, ისედაც ნახევარი ოლქი მაჰმადიანებისაა. რუსის მთავრობა და სომხები ერთად ამოქმედდენ ჩვენს წინააღმდეგ, რათა მოესპოთ საქართველოს ხსენება, მაგრამ დახე ბედს და სამართალს უმალ ჩვენი მტრები მოისპენ საქართველოში, ვიდრე საქართველო დამოუკიდებელი საქართველო უპირველესად თავის ერზე ბრუნავს, მტერსა და მოყვარეს ფრთხილად არჩევს, მისი სატახტო ქალაქი თბილისია; აწ სომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალყური ადევნეთ მოღალატეებს

ხებს ვინ შეაშმევს საქართველოს ქონებას. ამასთანავე საქართველოში მცხოვრებნი სომხები მოსწყდენ თანამემამულეებს, გაფანტულს კავკასიის სხვადასხვა კუთხეში, დაიკსაქსა სომხის ერი, უძლურდება ის როგორც კულტურულად ისე ეკონომიურად. როგორ გამოსწოროს საქმე. ძალა მას არ შესწევს საქართველოს რაიმე წაგლიჯოს.

ამ მხდალ ხალხს, რომელიც თავის სიცოცხლეს ფულის თვლაში ატარებდა, დღეს ხმალი აუღია და მოიწევს, მხოლოდ სხვის იმედით და სახელით. გავბოლშევიკდით გავბოლშევიკდით და ასეთივე გვსურს ქართველებისთვისაო.— ამდენ ხანს სომხები თითქმის ყველა დაშნაკელობდა, ასეთივე მთავრობაც ყავდათ, ეხლა კი ვითომც ყველა გაბოლშევიკდა. თუ გულწრფელი ბოლშევიკები არიან. იმ დაშნაველებს, მშრომელი ხალხის მტერს, ბოლშევიკებია სიტყვით, რაუყვეს, დასაჯეს? არა, არც ერთი დაშნაკელი არ დაზარალებულა-ყველა თავისუფლადაა და ბოლშევიკობს. განკეთ ბოლშევიკობენ, თვალთმაქცობენ, სურთ გააერთიანონ კავკასია, შემდეგ იცვლიან სახეს. იმედი აქვთ მათ გამოძახილს ეჰყვებიან საქართველოში; იქ დიდი პარტიული ბრძოლაა; ეს გარემოება აქეზებს მათ. ომი შეიტანს მათში არევდარევას და შეიძლება მივაღწიოთ წადილს, მოვსპოთ საქართველოს დამოუკიდებლობა და ისევ ძველებურად დაუწყოთ წუწნა ქართველი ერის ქონებასო. ცდება ვერაგი მტერი. დღეიდან ჩვენში პარტიული ბრძოლა და გამოსვლა მოისპო, გამოდის ერი, იცავს მამულს. რუსები ადერბეიჯანიდან და სომხები, ეს ორივე მშიერი ხალხი, უკვე გვებრძვიან, უნდათ მოსპონ საქართველოს დამოუკიდებლობა, დაგვადგან ძველი მონობის უღელი.

აჰა მამულისშვილნო, მტერი გიწვევს. მამულს ცუდს უქადის, გაეშურე ძმურად ეკვეთეთ მტერს. ყველა მტრისკენ, ყველამ ომზე ვიზრუნოთ.

ა. კვიტაშვილი

წმინდა სისხლი.

ისევ ომი. ისევ მსხვერპლის გაღება. ის ხალხი, რომელმაც გვჯიჯგნა 117 წლის განმავლობაში, ვერ იტანს ჩვენს დამოუკიდებელ ცხოვრებას და მუხანათურათ თავს ესხმის მის კლანჭებიდან უკვე განთავისუფლებულ ქართველ ერს.

დღეს ჩვენ საქმე გვაქვს არა რომელიმე პოლიტიკურ მიმდინარეობასთან, რომელსაც სწადია ჩვენი ქვეყნის თავის მსოფლ-მხედველობით მოწყობა, არამედ ძველი რუსეთის აღდგენის მოტრფიალეებთან. შემთხვევების და ხელოვნურად შეკოწიწებული დიდი რუსეთი პირველივე საერთაშორისო მოვლენის წინაშე დაიმსხვრა და დაიწვწა. დროებით მის კუზში მოხვედრილი ერები, გონს მოვიდნ და თავიანთი საკუთარი ცხოვრება დაიწყეს. ნებით თუ უნებლიეთ ქართველი ერიც იტანდა 117 წლის განმავლობაში მის ზამთარს.

მაგრამ ისტორიამ სამართლიანად განსაჯა და ქართველ შვილო საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადებია. და მსოფლიოს მოეფლინა ისევ აღმდგარი და წელში გამართული მისთვის ცნობილი საქართველო. ის იწამა ქვეყნის განათლებულმა ნაწილმა და ვით თანასწორი გვერდში ამოიყენა. სანამ ეს უკანასკნელი მოხდებოდა. ჩრდილოელთ კიდევ სწამდათ და სჯეროდათ საქართველოს მათდამი დაბრუნება. მაგრამ იანვრის 27-მა ცივი წყალი გადაასხა მათ მხურვალე ზრახვებს და გვერდი აახვევია მშვიდობიან კავშირზე. ადვილათ დაიბრუნეს და დასაჯეს ურჩობისათვის ადერბეიჯანი და სომხეთი, მაგრამ არც ისე ადვილი შესაძლებელი დარჩა ცერემონიალური მარშით ჩვენს მიწა-წყალზე შემოსვლა. მათ დაავიწყდათ, რომ საქართველოში ცხოვრობს და ბინადრობს ბრძოლაში ყველასაგან ცნობილი და ნაცადი ერი. დამშეული, ადამიანის სახე აკლილი წითელოსნები ვერ გაძლენ ადერბეიჯან სომხეთით და ალაზნის ველზეც ლამობენ განავარდებას. მათ გვერდში ამოიყენეს იმ ხალხის შვილები, რომელთაც თვით არ სწამდათ თავის დამოუკიდებლობა და პირველ შემთხვევის თანავე ცხვრებივით გამოირეკეს წინ ისინი ყოფილმა ბატონებმა. დღეს რუსეთის თურქ-სელჯუკები და განსვენებულ ვარანცოვ-დაშკოვის ლაქიები მოადგენ ჩვენს საზღვრებს და იარაღს აჩხარუნებენ ქართველთა დასაფრთხობად. 117 წლის განმავლობაში კარგათ გაიცნო ქართველ ერმა რუს-სომხები და ტყუილად გონიათ, ადვილათ წამოგებენ მათ ანკესზე. რისხვა დაატყდა თავს რუსეთსა და სომხეთს, და ეხლა არც რუსის არაყით მოვიწამლებით და არც სომხის არშინი გვავნებს რასმეს. იარაღის ჩხარუნი ქართველს ძილს კი არ უფრთხობს, არამედ აცოცხლებს და აახალგაზდებს. საქართველოს დედა ქალაქი თბილისია და არა ალექსანდროპოლ-ერევანი, რომელიც მარტო ხმის გაგონებაზე ხან ერთის ხელში გადადის და ხან მეორეს, რომელთაც შიში ხან აწითლებს და ხან აშაგებს.

საქართველოს დარაჯობენ ქართველები, რომელთაც სირბილი მტრისკენ უყვართ და არა მტრისგან. ქართველი გულში იჭრება და არა ზურგში. განსაკუთრებით შმაგია ქართველი ბრძოლის ველზე, თუ მტერი მის არსებობას ემუქრება! ამიტომ ჩვენ არ გვიკვირს, თუ ამ უკანასკნელ დღეებში ქართველური ყიყინა გაისმის ჩვენს ქალაქებში. საქართველოს მტერი მოადგა, და ეს მტერია რუსეთ-სომხეთი, რომელნიც ლამობენ აღადგინონ ბარბაროსული რუსეთი. მაგრამ ქართველები იცნობენ კარგათ ბაქო-ერევანს, და ბრძოლით დამთვრალს ქართველ მხედარს ეხლაც ინგლისელნი არ შეაჩერებენ, და შესაძლებელია სომხები იძულებულნი დარჩენ ერევანში ქართველ ლაშქარს ნადიმი გაუმართონ. ქართველთ სინათლე ჯერ არ მოკლებიათ, მაგრამ ვაი თუ უბედოთ რუსებს მოსკოვის ძარცვა სიბნელეში მოუხდეთ. დიახ ჩვენ არ ეგვეშინია. საქართველოსათვის დაღვრილი სისხლი წმინდაა, და ქართველის ხმალიც ლამაზ ფეხს მიიღებს რუს-სომხის შერეულ სისხლით.

დარაჯი.

„ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს...“

უდიდესი ოცნება ჩვენის დიდის წინაპრებისა სინამდვილეთ იქცა. მათი უაღრესი ნატვრა და გულისთქმა განხორციელდა, ქართველი ერის საზეპურო მისაღწევი მოვიპოვეთ.

მწარე წარსულისა მხოლოდ მწარე მოგონებანი-ღა დაგვრჩა, ასი წლის მონობიდან ჩვენი თავი სისხლით გამოვისყიდეთ, ბარბაროსებს ზურგი შვაქციეთ და პირი განათლებული ევროპისკენ ვიბრუნეთ.

მოწინავე კაცობრიობამ ხელი გამოგვიწოდა და უტყუარისა და დინჯი მოფიქრების ნაყოფად თავის ოჯახის სწორუფლებიან წევრათ მიგვიღო.

ჩვენ ვხეიმობთ! ერთმანეთს ვულოცავთ, ვით მორწმუნენი ქრისტეს აღდგომასა, და გული ჩვენი ივსება უჩვეულო ნეტარებით.

მივდიოვართ ჩვენი წინაპრების საფლავებზე და დღესასწაულებრივ ჩავსძახით მათს ძვირფას ნეშტს:

გიხაროდენ, დიდო ილია, დიდო აკაკი! საქართველო აღსდგა!

გვილოცავენ ამ დიდ დღეს მოკეთენი და ჩვენი დიდი მოამაგე ევროპიელნი.

გვილოცავენ... უკეთურნიც...

ბრაზითა და შურით განიხერხებიან და იუდას ამბორით მოდიან ჩვენთან. ამბორით ფარავენ მოროტ განზრახვას, რომლის უკან მზადდება ჩვენთვის შიმშილი, სიტიტვლე, ოჯახის აწიოკება და შერცხვენა, ჩვენი კაცურ-კაცობის წახდენა, გაველურება და ახალი და უმძიმესი საშვილიშვილო მონობა!..

თეთრმა კბილმა შავი გული ვერ დამალა და, აი, ის მოელის თავის სიშავითა და სიბნელით ჩვენს წინააღმდეგ აღიმართა!

ველურობისა და სიბნელის მატარებელი ძალა ლაჩრულათ, ქურდულათ ზურგიდან დაგვეცა!

საქართველოს გარეწარი შვილებიც არიან იქ.

დედის რძე შხამათაც შერგებია მათ!

და ეს ასეც იქნება:

საქართველოს სახელოვანი მხედრობა, ფოლადასხმული ვაჟკაცნი საშშობლოს სადარაჯოზე დგანან.

ჩვენი დიდებით მოსილი ჯარი და გვარდია, ბრძოლის ცეცხლში გამობრძმედილნი, ვერაგმტერს უკვე შეებენ და ზარბაზნების გრიალით უპასუხეს.

ჩვენი საშშობლოს საზღვრებზე სამკედრო-სასიცოცხლოთ იბრძვიან:

სინათლე და სიბნელე,

თავისუფლება და მონობა.

უმაღლესი კულტურა და უმაღლესი ველურობა.

ჩვენს მხარეზე დგას განათლებული ევროპა და მისი მოწინავე დემოკრატია.

დღეს ქართველი მხედრობა თავის საშშობლოსთან ერთად ევროპის კულტურასაც იცავს.

და იგი, გაკაჟებული და გამეხებული, მტრის ურდოებს რისხვით ევლინება მხიარული ყიჟინით:

„ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს
ნადირსა შავის ტყისასა,
ვინც დახვდა, იგივ დახვდება
გულდაგულ რაზმსა მტრისასა!“..

ვაშა ქართველ მხედრობას!

უკვდავი დიდება მის სახელს!

გაუმარჯოს საშშობლოს დარაჯთ!

დ. ჭ.

პრესა.

გაზ. საქართველოში ბ. მ. ჯავახიშვილი ბრძოლის ასპარეზის სურათს იძლევა:

სომხეთ.-საქართველოს ბრძოლის ასპარეზი გზების რკალით არის შემოხაზული თბილისიდან რომ გაჰყვეთ ამ რკალს დასავლეთისკენ, ისევ თბილისში დაბრუნდებით, აღმოსავლეთით. ეს გზა თბილისიდან მიდის ბორჯომ ახალქალაქზე, აქედან ჩავა გუმბრში (ალექსანდროპოლი), მოუხვევს აღმოსავლეთისკენ, გაივლის ბეზობდალისა და ბამბაკის ქედების შორის, გავა ყარაქლისზე, დელიჯანზე და აქედან ყაზახით ისევ თბილისში ამოვა.

ეს რკალი ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ ორი გზით არის გადასერილი. ერთი—რკინის გზა მიდის თბილისიდან დებედა ჩაის (წინანდლი ბერდუჯის წყალი) ხეობით, გადაივლის ბეზობდალის ქედს სად- შაგალისთან, აქედან მოუხვევს დასავლეთით და ჩავა გუმბრში. მეორე გზა-ტკეცილი, უფრო მნიშვნელოვანი—თბილისიდან მიდის ეკატერინენფელდზე მაშაველრის ხეობით გადავა ლორში (დუმანისი, ვორონცოვკა, ჯელალოღლი), გადავა ბეზობფალს და აქ ორთითიდ გაიყოფა: ერთი რკინის გზის გაყოლებით წავა გუმბრში, ხოლო მეორე სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მოუხვევს და ყარაქლის აართანლი-დელიჯანით გავა ყაზახში, რომლის ნახევარი სომხეთს უჭირავს. ამ ორი გზიდან თითო გზა დაჰყვება სამხრეთით და ჩავა ერევანში. ერთი გზა მიდის რკინის გზის სადგურ ჰამამლიდან ეჩმიაძინ ერევანში, ხოლო მეორე გზა იწყება დელიჯანში, მოუვლის გოქჩის ტბის ჩრდილო დასავლეთ კუთხეს და ესეც ერევანში ჩავა.

გზების რკალი, რომ მოვიხსენიეთ, დღევანდელ პირობებში, სამხედრო საოპერაციო თვალსაზრისით რკალად აღარ ჩაითვლება, რადგან აღმოსავლეთით მას ჩამოჭრილი აქვს ყაზახის მაზრა, რომლის ნახევარი აზერბაიჯანის ხელშია, ხოლო დასავლეთით—ახალქალაქის გზით ჩამოკვეთილი აქვს გუმბრის რაიონი, რომელიც უჭირავს ოსმალეთს. მაშასადამე, საოპერაციო მიმართულებანი სომხეთ-საქართველოს დღევანდელის ომისა განსაზღვრულია ზემოაღწერილი გზატკეცილით; რკინის გზით და იმ სამიოდე ბილიკ.—საურმე გზით, რომელნიც ბორჩალოდან და ლორიდან გადადიან ერევნისკენ ვიწრო სექტორით—ბეზობდალის მთიდან სოფ. შინიხამდის, რომელიც მდებარეობს დებედას მარჯვენა ნაპირზე სად. სადახლოსა და ახტალას შუა.

ეს ვიწრო ასპარეზი ბრძოლის ველისა დასერილია სამი ქედით, რომელიც მიდის ყაზახიდან ჯავახეთ შურაგელისკენ: ლელვარის ქედი, ბეზობდალის და ბამსაკისა. ლელვარის ქედი და ჩრდილო ფერდოები ბეზთდალისა ჩვენს ჯარს უჭირავს, ხოლო სამხრეთი კალთები ბეზობდალისა და ბამბაკი—სომხეთის ხელშია.

ამ გზებით და ამ უღელტეხილებისთვის იწყება მეორე ომი სომხეთ საქართველოსი. ჯერ-ჯეროობით ღერძი დაწყებულ ბრძოლისა ბეზობდალის ქედია რომლის გადასავლით ან გადმოსავლით დასრულდება პირველი ეტაპი ომისა.

სომხური პრესა.

„შშაკი“ თავის მოწინავე წერილში ეხება ლორის აჯანყების ამბავს და სწერს, სხვათა შორის, შემდეგს:

„ჩვენ გადაჭრით ვამბობთ: ლორის გლეხობის ერთი ნაწილის აჯანყებას ვთვლით უბედურობად ყველაზე უწინ თვით მათთვის და მერე დაშშეულ გარშემორტყმულ და მთელი ქვეყნისაგან მოწყვეტილ სომხეთისთვის.

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს მთავრობამ ჩვენზე კარგად იცის, თუ რა ხდება მის ფრგვლივ. გვჯერა, რომ სომეხ-ქართველთა შშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა არ გამოიცვლება ამ უბედურების ამბების მიზეზით.

„დღე გამოჩნდეს მოედანზე ამ მოძრაობის ნამდვილი დირიჟორი—საბჭოთა რუსეთი, ურომლისოდაც არ შეეძლოთ ერთი ფოთოლიც შეერხიათ ბაბაგის ხეობაში.

,,სომხის ხალხს ეჭირვება სიმშვიდე და პური და არა ავანტიურები, უკეთუ კალიფორნიიდან (ამერიკაში) დაწყებული ინდამდე (მდინარე ინდოეთში) სომხობა შეურიგდა სომხეთის სოვეტიზაციას, ეგ მხოლოდ იმიტომ, რომ მიაღწიოს ამ მიზანს. სომხის ხალხი დაღლილია სისხლის ღვრით და მსხვერპლის გაღებით სხვათა სასარგებლოდ.

„და საბჭოთა რუსეთი მოვალეა დაუყოვნებლივ მოსპოს ლორის ავანტიურა“.

რუკ-ნადენის დრამა.

(ისტორ. ოცნება—სინამდვილე).

დოხორის მთის კალთებზე საამო იდუმალობა დამყარებულიყო,—იდუმალობა, როდესაც ადამიანი ანგარიშმიუცემლათ დგას გარინდებული

ქართველო ხელი ხმალს იპარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ძალთაძალის სიდიადეს უშუალოთ განიცთის.

მთის კლდოვანი წვეტები თხემზე მდუმარეთ ჩასაფრებულიყვნენ, თითქო მავნე სულთაგან იცავდენ იქვე გამოქვაბულში ხატის წინ პირქვე დამხობილ დაყუდებულს, რომელსაც დაღარული შუბლი ლოცვანზე დაეყრდნო, თეთრი თმა და წვერი შუხლებზე გადაფენოდა და ბაგენი საიდუმლო ლოცვებში უთრთოდენ.

ის ახლა ხახულის ხატის წინ იყო დაჩოქილი გელათის უმთავრეს ტაძარში, სადაც კვირაში თითოჯერ ჩამოვიდოდა ქარაფოვანი კლდის ნაპრალიდან, ეზიარებოდა, სეფისკვერს შიიღებდა და ისევ თავის სენაკს მიაშურებდა დუმილით.

ჭალაში დაძრული ნისლი მთის კალთებს გაეკრა, წარემართა მაღლა, მაღლა, ვით საღმრთო საკმეველი, და გაპენტილი ბამბის ქულასავით ხშირსა და გაუვალს ბზარნალს მოეფინა.

დაყუდებული ღრმათ ჩაძირულიყო ლოცვათა საიდუმლო წიაღში. მის გარშემო მონასტრის მრავალრიცხოვანი კრებული იდგა. უზარმაზარი ტაძრის თაღებ ქვეშ ხშირათ მძიმე სასინანულო ამოგმინვა გაისმოდა.

მორიგე ბერი საკურთხეველიდან გამოვიდა შემოსილი და სამეუფო კარებთან „ნათელი მხიარული“ წარმოსთქვა.

ეცრათ ტაძრის კედლებმა ზანზარი იწყეს, გუმბათიდან არაჩვეულებრივმა შუქმა შემოანათა და მთელი ტაძარი გაბრწყინდა. საკურთხეველის კამარაზე მთავარანგელოზები დაიძრენ და ეთერისებური ქროლვით დავით ალმაშენებელს ამოუდგენ მხარ-და-მხარ. დიდმა მეფემ ზეციურ ძალთ კრძალვით თაყვანისცა და ხახულის ხატისკენ გაეშურა ქედმოდრეკით. ამ დროს წმინდანნი ამეტყველდენ და ტაძრის ყოველი კუთხიდან მოისმა საღმრთო გალობა: „გვირგვინი მკლავმან ძლიერმან დაგადგა შენ.“

* * *

მთანი და ხეობანი ისევ საიდუმლო სიჩუმით იყვნენ მოცულნი.

შუაღამე გადავიდა და, ცისკრის მოახლოებისას, ეს დიადი სიჩუმე გელათის დიდი ზარის ხმამ გაჰკვეთა. ხმა იგი გადაეცა კლდიდან კლდეს, ხეობიდან ხეობას, შორეული სამების წვერს სტყორცნა სალამი საცისკრო და მიძინებული სოფლების თავზე მიმოიფანტა.

შუაღამის რეკვამ სოფლად ბევრი გამოაღვიძა და სასოებით პირჯვარი გადააწერია.

ზარის ხმა განდეგილსაც სწვდა; ის იმ წამსვე გამოერკვა; საოცარი ჩვენებისაგან მთლად კანკალობდა; ჩხირი სანთლის ასანთებად ხატისკენ გაეშურა.

იქ კი, საიდანაც ზარის ხმა მოდიოდა, ობოლი სანთლები გამოკიაფდა და სქელ ნისლში ძველი აღთქმის ჭაღარა. მოსილი პატრიარქის სახით გამოცხადდა ამაყი და დიდებული ქმნილება დიდის ალმაშენებლისა.

საუცხოვოა იგი სურათი!

დღესაც, ამ მეათასე წლის თავზე, ის ქმნილება იმავე სიდიადით გამოიყურება განთიადისას.

აბა მიადევნეთ თვალი ამ ჩვენის სამშობლოის სულიერს მეუფეს!

* * *

გელათი, ახალ ათინად ქმნილი, და სრულიად იმერთა, გურიულ-ოდიშართა, სგანთა და აფხაზთა ლიფლიფი, სადღესასწაულოთ ირთვებოდა, საზეიმოთ ემზადებოდა.

იქ, შორს, საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარზე, ბასიანს, ზვიადი რუქ-ნადინი სასტიკათ დაემარცხებია ბედნიერი თამარის ბრწყინვალე მხედრობას. ქართველთა ხმლის ელვარებამ შემუსრა ამაყი ძალა მცირე აზიის სასულთნოისა! და სვიანი მეფე თავის დიდებული პაპის მიერ აგებულ გელათს მობრძანდებოდა თქმად და ქმნად მადლობისა დიდის გამარჯვებისათვის.

საუცხოვო ამინდი იდგა. მახლობელი სერები ტურფად ამწვანებულიყვენ. მზე კარგად მოვლილი იყო, როდესაც გელათის დიდი კართან თეთრი არაბული მოადგა შიკრიკმა და კრებულს ამცნო, მეფემ და ამალამ მოწამეთას მოატანესო.

ახალ ათინაში არაჩვეულებრივი სიცოცხლე დატრიალდა.

მცირე ხანს შემდეგ მოწამეთის წვეროდან საზეიმო საყვირი მოისმა; მას გამოეხმაურა ელიასქედის კოშკი—და მალე, ჭალაში, წყალწითელას ნაპირებზე თამარის ბრწინვალე ამალა გაიშალა.

მთელი საგენათლო აქ იყო შეკრებილი; ტევა აღარ იყო და ხალხს ახლო-მახლო ქედები დაეჭირა.

ამალამ განვლო ხიდილო იქ, სადაც ახლა ძველი ბურუების ნაშთია დარჩენილი, და მწყობრათ შეუდგა ალმართს.

თამარი ტახტრევანით მობრძანდებოდა. ალმართზე მან დაქვეითება ინება. გვერდს დავით სოსლანი უმშვენებდა, წინ ანტონ ჭყონდიდელი მიუძღოდა, ამიერ და იმიერ კი—ჭიაბერი, გამრეკელ—თორელი, კახაბერი და მსახურთ-უხუცესი ვარდან დადიანი.

აქვე ბრძანდებოდა დიდი შოთაც, რომლის პირით მაშინდელი საქართველოს სიბრძნე და მისწრაფება ღაღადებდა:

„ვარდთა და ნეხვთა ვინადგან
მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და მცირეთ წყალობა
შენცა ნუ მოგეწყინების“...

სარდლები დაწინაურებულიყვნენ და მედროშეც მაღლა-მაღლეთა-მაღლეთ მიაფრიალებდა დროშას „სვიანსა—დავითიანსა“.

ხალხის სადღესასწ.ულო გუგუნი განუწყვეტლად გაისმოდა და ქედებიდან თამარის ამალისაკენ მოდიოდა ყვავილების ნამქერი.

ერი სხვა და სხვა საგალობლებით შეამკობდა თამარს, წინწილ-ებანი სმენას დაატკბობდა, გელათის ზარების ხმაშეწყობილი გუგუნი კი უზენაესათ აღაფრთოვანებდა ერს.

მთა და ბარი ზანზარობდა ხეობანიც საზეიმო ხმას გამოსცემდენ.

* * *

დიდკართან დედოფალს მიეგება პატრიარქი, ომფორმოსილი. კრებულიც იქვე იდგა. დედოფალს, ქება შეასხეს და ფიანდაზა გაუშალეს.

თამარმა მარგალიტებით მოოქვილი ქოშები გაიხადა და ღვთის მშობლის კალთის ქვეშ ტაძარში შეხვიშვილი შებრძანდა.

ხახულის ხატი, ბექა ოპიზარის მოქედილი, გაბრწყინვებული ესვენა სამეუფოს კარის წინ „კედელა“ და „ობოლა“ მზეებრ ციმციმობდენ.

თამარმა დაიჩოქა მისწინაშე და საქართველოს ობოლმა მარგალიტმა მარგალიტებივე დაიფრქვია თვალთაგან.

ლაწვნი საქართველოს უუმშვენიერესის ასულისა, უუდიდესის მეფისა და უულმობიერესის დედისა სრულიად დაელტო ამ მარგალიტების ფრქვევას.

მასთან ერთად დაჩოქილი იყო ამალაც.

თამარმა ჩრდილოეთის კედელს მიაპყრა თვალები, მოწიწებით გაეშურა და თაგისი დიდი წინაპარის-დავითის ხატს ამბორი უყო.

დიდი მეფე ბრძნული ღიმილით გამოიყურებოდა და სახელოვან შვილთაშვილს ბრძნულს მოქმედებას უწონებდა.

* * *

კრებული შუაზე გაიყო. თამარი ხახულის ხატის გვერდით დადგა. იმის პირდაპირ—პატრიარქი. ქვევით—ამალა.

მთელი ტაძარი სიჩუმემ მოიცვა.

დასავლეთის კარები გაიღო და სარდალი ზაქარია მხარგძელი გამოჩნდა.

ვეებერთელა ფარჩაზე ნაქსოვი დროშა მოჰქონდა მას თავდახრილი.

დროშის არშია მარგალიტებით იყო მოოქვილი: შუაზე მთვარის ნახევარ რკალი იყო გამოსახული.

მხარგძელი დახრილი დროშით ხახულის ხატის წინ გაჩერდა და თამარმა წარმოსთქვა:

„სასოო და შესავედრებელო ყოველთა ივერიელთაო, მომირთმევია დროშა დიდისა სულთანისა, რომელმანცა ბრძანა ლეწვად ხატთა და ჯვართა და რომელიცა ვძლიე სახელითა შენითაო!“

და ზვიადი რუქ-ნადინის დროშა ხახულის ხატის წინ განერთხო.

ამ წუთს ყველას უნებლიეთ აღმოხდა ძლიერი გრგვინვა:

გაუმარჯოს ქართველ მხედრობას!.. მრავალ ჟამიერ! მრავალ ჟამიერო!

———

ხანგრძლივი გრგვინვისაგან ტაძრის კედლები ზანზარობდენ.

და დაყუდებულმაც, რომელიც საერთო ზეიმს გამოქვაბულიდან აქ მოეწვია, თავისი ჩვენების აცხადება ამ დღეს იხილა.

დ. თომაშვილი.

ყველას ვაპატიებ, გარდა...

„გმირთა წესია ლმობიერება“—სთქვა დიდმა პოეტმა, და მართლაც, რაინდული სულის სიქველეც ისაა, რომ დამარცხებულსა და ფეხქვეშ განრთხმულ მტერს ლმობიერათ მოეპყრა... ქართველი კაცის ბუნებაში რაინდობა და მასთან შეზავებული ლმობიერება ოდითგანვე ჩაქსოვილა; ქართველი ბუნებათანაზიარია .და სხვისი გაჭირვების ადვილათ შემგნები. დაცემულის დანახვაზე მასში გრძნობა და კეთილშობილური აღტყინება სჭარბობს და უდიდეს დამნაშავესაც ამ წუთებში იგი ადვილათ შეუნდობს. ეს, რასაკვირველია, ქართველი კაცის უმაღლესი სათნოებისა და კაცთმოყვარეობის განსახიერებაა. და ასეთი თვისება ფრიად სასახელოა და სამაგალითო. საქართველოს ისტორიაში მრავალია ამის მაგალითი.

და ჩვენც, რომ არ შეურაცხყოთ სახელი და დიდება ქართველის რაინდისა, ჟამსა გამარჯვებისას, ჟამსა, როდესაც ქართველი სახელოვანი მხედრობა ახალის, ბრწყინვალე გამარჯვების გვირგვინით დაიდაფნება, ჩვენ ყველას ლმობიერათ მოვეპყრობით, ღირსეულ მტრებს, სომეხი იქნება ისთუ სხვა ვინმე, ღირსეულთ პატივით მივიღებთ და შეუნდობთ, ვაპატიებთ და კალაპოტში ჩავაყენებთ. ჩვენ ყველასადმი გამოვიჩენთ ლმობიერებას რაინდულს, კეთილშობილურს, ვერ ვაპატიებთ მხოლოდ... ქართველს!.. ქართველს, საქართველოს სისხლითა და ოფლით გამოზრდილს, ქართველს, რომელიც მტრის რაზმებში დგას და ჩვენი ქვეყნის ასაოხრებლათ მოყავს ის, ქართველს, რომელსაც უკულმართად მოურთავს თავისი აზროვნება და შიგნიდან ციხის გატეხას ლამობს.

აქ ჩვენი თანშობილი ლმობიერება იქცევა სასტიკ და მრისხანე ულმობელობად!

ვ.

ვივიანის აზრი საქართველოს შესახებ.

ერთა ლიგის ფრანგულ საზოგადოების პირველი სხდომა ერთა ლიგის ჟენევაში მომხდარი ყრილობის შემდეგ, იანვრის 18 ს შესდგა. ვივიანმა გააკეთა მოხსენება იმ პოლიტიკის შესახებ, რომელსაც აწარმოებდა საფრანგეთის დელეგაცია ამ ყრილობაზე. ვივიანის აზრით რომ „ერთა ლიგამ იცხოვროს, იგი უნივერსალური უნდა იყოს; იმ დროიდან, როდესაც მან დაიწყო ისეთი საკითხების განხილვა, რომლებიც საერთო მშვიდობიანობას ეხებიან და როდესაც მან დაისახა მიზნათ გაავრცელოს თავისი ორგანიზაციები მთელ ქვეყანაზე, ერთა ლიგამ თავის შემადგენლობაში ყველა ხალხი უნდა მოიწვიოს.“ შემდეგ ვივიანმა მოაგონა სხდომას ერთა ლიგის სტატუტის მე 10 მუხლი, რომელიც ვალდებულად ხდის ლიგას დაიცვას თავისი წევრი, თუ მას დაესხმიან. და ამ მუხლით ახსნა საფრანგეთის დელეგაციის პოზიცია ახალ სახელმწიფოთა და კერძოთ საქართველოს მიმართ: სწორედ მე-10 მუხლის გამო ვიყავი მე წინააღმდეგი საქართველოს მეორე ერთა ლიგის შემადგენლობაში მიღებისა. ეჭვს გარეშეა, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელსაც აქვს მრავალი საუკუნის ისტორია და მტკიცეთ შემოხაზული საზღვრები. საქართველო—სახელმწიფოა, რომელიც არსებობდა დამოუკიდებლათ 1780 წლამდე და მაშინაც კი, როცა რუსეთი ჩაყლაპვას ლამობდა, მან შესძლო საკუთარი ფიზიონომიის შენარჩუნებაო.

ანგორის ცნობები.

საქართველოში არსებული ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის წარმომადგენლობა იუწყება:

იანვრის 22 ყარსიდან გაგზავნილი ოსმალოს შიკრიკი ქიამილ-ეფენდი სრულებით უსაფუძვლოდ და ყოველ გვარ უფლების გარეშე კარაკოლისში დაიჭირეს სომხებმა. შიკრიკს წაართვეს ყაითან გაყრილი და დივიზიონის ოფიციალური ბეჭედ დასმული პაკეტები, ფულები. სომხები იქამდე მივიდნენ, რომ ოიიებიდან ბეჭდებიც კი მოხსნეს. წართმეული ფულის ერთი ნაწილი მიცემული ჰქონდა შიკრიკს ყარსში მყოფ ოსმალო ოფიცრებისაგან ტფილისში მათი ოჯახებისათვის გადასაცემად და სხვა და სხვა საჭირო ნივთების საყიდლად.

მეორე ნაწილი კი ეკუთვნოდა ანგორაში დანიშნულ რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლის ოჯახს, რომელიც ტფილისში ცხოვრობს. რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენელ ამხ. მდივანის ფული იმყოფებოდა წერილობით სავსე ჟესტის ყუთში, რომელიც გასტეხეს და რაც შიგ იყო ყველაფერი წაიღეს.

გაძღიერებულ ზომების წყალობით, რომელიც აღმოსავლეთის ფრონტის მთავარ სარდალმა მიიღო, შიკრიკის დაკავების ცნობების მიღების შემდეგ, ეს უკანასკნელი გაანთავისუფლეს და წართმეული ნივთები დააბრუნეს, გარდა ოფიციალურ ბეჭედ დასმულ და დაბეჭდილ პაკეთისა და ამხ. მდივანის ოჯახობის კუთვნილ ფულებისა.

ამ პაკეთში იყო მდივანის მიერ მოსკოვში გაგზავნილი ქაღალდები და დიდი კონვერტი, რომელიც დაბეჭდილი და ოფიციალურ ბეჭედ დაკრული იყო. ეს პაკეთი ეგზავნებოდა საქართველოში მყოფ ოსმალეთის წარმომადგენელს. რა თქმა უნდა, დაუყონებლივ შედგენილ იქნა ოქმი, რომლის პირიც გაიგზავნა ყარსში; რადგანაც სომხებმა შიკრიკს წამოსავლელი საშუალებანი არ მისცეს, ოსმალეთის შიკრიკი მხოლოდ რვა დღის შემდეგ ჩამოვიდა. საქმის დაწვრილებითი ვითარება ეუწყება მთავრობას. ამის გამო მოხდა ნოტათა გაცვლა-გამოცვლა.

მთავარი რედაქტორი კ. კაპანელი.
სარედაქციო კოლეგია

ექიმი

ი. ბ. მეგურიშვილი

ვენერიული, შინაგანი და საშარდო ორგანოთა სნეულებანი. (შემხაპუნება 606 და 914) ავადმყ. მილება

საღამ. 5—8 საათამდი.

ჭავჭავაძის (გეგუთის) ქუჩა № 8. ქალაქის მეორე აფთიაქის ახლოს

თვ.

---

19 თებერვალს 1921 წელს

ეროვნულ საზოგადო საკრებულოს დარბაზში ქუთაისის მუშათა პროფესიონალურ კავშირების და სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ გაიმართება დ დი საღ მო

„ბალ-მასკარადი“

პრიზებით

სხვადასხვა გასართობებით და ვახშმით.

დიასახლისები:
მ. ჯორთქიფანიძისა.
ს. ქავთარაძისა
ჯ. მეძმარიაშვილი-გეგეჭკორიისა.
ეჯ. ბახტაძის ას.

3—1